დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.გამგეობის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ყოველი დანიშვნითი თანამდებობისთვის დგება საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

2.საკვალიფიკაციო მოთხოვნით განისაზღვრება თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია, სამუშაო სტაჟი, განათლება, ცოდნა და უნარ-ჩვევები.

3.დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნა წესდება თითოეული საშტატო თანამდებობისათვის და განსაზღვრავს ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაციას, სამუშაო სტაჟს, აგრეთვე დამატებით ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

მუხლი 2. საერთო მოთხოვნები გამგეობის საჯარო მოხელეთათვის.

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა საჯარო მოხელეს მოეთხოვება:

ა) ქართულ ენაზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer–ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია

გ.ბ) ევროპული ქარტია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;

გ.გ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ.დ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“

გ.ე) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ”;

გ.ვ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი გამგეობის დებულება;

გ.ზ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულება;

მუხლი 3. დამატებითი მოთხოვნები გამგეობის საჯარო მოხელეთათვის.

2. გამგეობის საჯარო მოხელეს დამატებით მოეთხოვება:

ა) გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური განათლება ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თანამდებობაზე (საჯარო ან კერძო სამსახურში) მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

ბ) გამგებლის თანაშემწის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური განათლება ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

გ) სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური განათლება ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

დ) ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა საშუალო განათლება მაინც, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.